


ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 59 (1229) კვირა, 18 მაისი, 1958 წ. გამოცემის მე-11 წელი. ფასი 30 კაპ.

მეორე გამარჯვება

15 მაისს დეტროიტში გაიმართა ამერიკელ და საბჭოთა შტანგისტების მეორე საერთაშორისო შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ ორ წონით კატეგორიაში (მჩატესა და ქვემსუბუქში) მოწინააღმდეგეებმა სამივე კულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ იმის გამო, რომ ჩ. ვინჩი (მჩატე წონა) და ი. ბერგერი (ქვემსუბუქი წონა) უფრო მსუბუქები აღმოჩნდნენ ვიდრე ვ. სტოკოვი და ე. მინაევი, პირველი ადგილები მათ მიეკუთვნათ. მსუბუქ წონაში ვ. ბუშუევა სამივე დააგროვა 370 კილოგრამი და 20 კილოგრამით გაასწრო დ. პიტმენს, ქვესაშუალო წონაში გაიმარჯვა ფ. ბოგდანოვიმ, რომელმაც 8 კილოგრამით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე კონომ — 414 კგ. საშუალოში ტ. ლომაკინმა ძლია ფ. ჯორჯს, რომელმაც ატაცში „ი“ მიიღო. შეპარღმა მოუგო ვორობიოვს, ხოლო მედევედევმა დაამარცხა ბრედფორდი. მატჩის ანგარიშია 4:3 საბჭოთა შტანგისტების სასარგებლოდ.



ეროვნული გიგანტობი



რამდენიმე კილომეტრის შემდეგ ძირითად ჯგუფს კიდევ მოუყვდა ხუთი-ექვსი ველოსიპედი, აგაგემა მინა და დასახა ჩამორჩენილი ჯგუფის დაწვევა, რაც მან საკმაოდ მალე განახორციელა, ხოლო გორის შემდეგ იგი ძირითად ჯგუფს შეუერთდა.

ყველასათვის მოულოდნელად დაწინაურება ცადა „ლოკომოტივის“ ველოსიპედისტმა გ. რატიანიძემ მან ერთბაშად მოუშტა ტემპს და მოუყვდა ლიდერთა ჯგუფს. როგორც ჩანს, დანარჩენებმა და, პირველ რიგში, ველობოლის ლიდერმა ა. თავაძემ („დინამო“), ამ მანევრს ყურადღება არ მიაქციეს, რადგან არ სჯეროდათ, რომ რატიანიძე მარტო შეძლებდა შორს გაქცევას. გაცივდა კარგა ხანი და განსხვავებამ რატიანიძესა და დარჩენილებს შორის დაახლოებით კილომეტრს მიადგინა. ერთხანს რატიანიძეს წამოეწია არმიელი ა. ტროფიმოვი (იგი მხოლოდ პირად ჩათვალა გამოდიოდა), მაგრამ ტემპს ვერ გაუძლო და ჩამორჩა.

39,5 კილომეტრი საათში

რესპუბლიკური მრავალდღიანი ველორობლა

მრავალდღიანი ველობოლის პირველმა ეტაპმა ველოსიპედისტებს სტიმული მისცა და წახალისა გამარჯვებისათვის ბრძოლაში. მიზეზი ის მაღალი ტემპი იყო, რომელიც მონაწილეებმა თბილისიდან გასვლისთანავე აიღეს და საშუალოდ შეინარჩუნეს. თაყარა სიციხისა და საკმაოდ რთული პროფილის მიუხედავად (გადაწყვეტა როსს თამაშობდა გორის უღელტეხილის აღმართი), ველოსიპედისტებმა 140-კილომეტრიანი ტრასა ბრწყინვალე დროში გაიარეს.

ყველა მოელოდა მაღალი შედეგის განმეორებას მეორე ეტაპზე (ხაშურ-რი-თბილისი), შიშობდნენ, რბოლის მონაწილეებს ამინდამე შეუწყა ხელი (დრუბლიანი ამინდის გამო სიცხე დაეცა). მხოლოდინი სავსებით გამართლდა მეორე ეტაპზე ნაჩვენები იქნა მაღალი დრო, ხოლო ლიდერთა ჯგუფმა შედეგები წინა დღესთან შედარებით გააუმჯობესა. გამორჩა გორის უღელტეხილი, რომელსაც რაღაც ვარკვეულობა უნდა შეეტანა ლიდერთა განლაგებაში, რადგან ამ საპატიო სახელზე სულ ცოტა ოცი მონაწილე მარცხდებოდა პრეტენზიას. ველოსიპედისტებმა აღმართი მსუბუქად დაძლიეს და დიდი სიჩქარით დაემყინეს დღმართში. აქ ერთერთ მონახვევში წაიქცა არმიელი ა. ავაივი. სანამ იგი წამოიღებდა და დაზინებული ბორბალი გამოეცალა, ჯგუფი საკმაოდ შორს წავიდა.

ასე იარა მარტო-მარტო რატიანიძემ. გამოჩნდა თბილისის მისაღწევის მიზნით უკვე ფინიშისათვის საშუალის დაწყებას ნიშნავდა. ახლა უკვე ტემპის მომატებაზე უნდა ეფიქრა მისი ვინც ძალეში შედიოდა. რატიანიძეს უკვე საკმაოდ დაღლილს, წამოეწია ორი სპარტაკელი ე. ბირიუკოვი, კ. პოგორელოვი და დინამოელი ვ. ჯორჯენაძე. ფინიშის ხაზი, რომელიც საბურთალოს ალმარის ბოლოში იყო მოწყობილი, პირველმა ბირიუკოვმა გადალახა, მას მიყვანენ პოგორელოვი, ჯორჯენაძე, რატიანიძე, შემდეგ გ. ჯოხაძე („დინამო“), ბ. ისმაილოვი („სპარტაკი“) და ჯგუფი. გამარჯვებულმა 140-კილომეტრიანი დისტანცია დაამთავრა 3 საათში და 37 წუთში. ასეთივე შედეგები, ოღონდ წამის შეთევნებით განსხვავებით, აქვე ჯგუფის დანარჩენ წევრებსაც როგორც ხედავთ, სისწრაფე მეორე ეტაპზეც საკმაოდ მაღალი იყო (დაახლოებით 39,5 კილომეტრი საათში).

16 მაისი. ისევ თბილისი, გმირთა მოედანი. ისევ სტარტის დაძაბულობა და შემდეგ გრძელი გზა ბორჯომისაკენ. ხაშურამდე ველობოლის ბი შეუფერხებლად, დიდ ჯგუფად მიდიოდნენ. ეს გასაგებია. ყოველი მათგანისათვის რბოლის ეს მონაკვეთი უკვე ცნობილი იყო. ალბათ სწორედ ამიტომ გორის უღელტეხილი დიდმა ჯგუფმა ადვილად დაძლია. ასე გაირეს ხაშურიც.

დაიწყო ბორჯომის ხეობა და ლიდერთა ჯგუფიც დაიქსაქსა. წინამძღოლა შორის დარჩა რვა კაცი — თავაძე, შენგელია („დინამო“), კვიციანიძე, რატიანიძე („ლოკომოტივი“), სატულოვი („კომუნურნი“ (სოხუმი), ტებნიანური („დინამო“), ავაივი და შარშენოვი. ბორჯომთან ეს პატარა ჯგუფიც გაიყო.

ფინიშთან პირველი იყო თავაძე (4:18.35), მეორე შენგელია (4:18.36), მესამე — კვიციანიძე (4:18.37), მეოთხე — რატიანიძე (4:18.38), მეხუთე — სატულოვი (4:18.40). ტებნიანურმა, ავაივმა და შარშენოვმა იწვენეს ერთნაირი დრო — 4:19.00.
ა. გუნია, ნ. გუგუშვილი.
ჩვენს სპეც. კორესპონდენტები.

საქართველოში ფეხბურთის განვითარებისათვის მეთად მნიშვნელოვანი წილის საბჭოთა სპორტული საზოგადოებრიობა აღნიშნავს

იმდინარე სეზონი ჩვენი დიდი სოციალისტური საქმისათვის ფეხბურთელებისათვის მეთად მნიშვნელოვანი წილის საბჭოთა სპორტული საზოგადოებრიობა აღნიშნავს სამაშულო ფეხბურთის 60 წლის თავს. წელს პირველად მსოფლიო პირველობაში მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი.

ფეხბურთი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასობრივი სახეობაა, მას საბჭოთადად უწოდებენ მილიონთა სპორტს. მაგალითად, ავიღოთ ჩვენი რესპუბლიკა. რომელ ქალაქში, რომელ რაიონში ან სოფელში არ მისაღწევს მას. ყოველწლიურად იზრდება გუნდების რიცხვი და რაც მთავარია, ყოველწლიურად იზრდება ფეხბურთის გულშემატკივართა არმიაც.

საქართველოში ფეხბურთს მეთად მდიდარი ისტორია აქვს. თბილისში, ფოთში, ბათუმში, სოხუმში ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე აღმოცენდნენ გუნდები სპორტის ამ სახეობის ენთუზიასტების ხელმძღვანელობით. როგორც სხვა სახეობებს, რასაკვირველია, ფეხბურთსაც არავინ აქცევდა ყურადღებას, არ იყო სათანადო ბაზები, ინვენტარი.

ფეხბურთმა, როგორც სპორტის ავტორიტეტმა სახეობამ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მოაპოვა უდიდესი პოპულარობა. მსხვილ ქალაქებში ჩამოყალიბდა გუნდები, რომელთა ხელმძღვანელობა იკისრა ფეხბურთის ვეტერანთა და თვით ფეხბურთელთაგან შემდგარმა საზოგადოებრივმა სექციებმა, მწვრთნელთა საბჭოებმა, მსაჯთა კომიტეტებმა.

კლასის გუნდებს, დახმარება სჭირდებოდა. დახმარებაზე როცა ვლადპარკობთ, მხედველობაში მარტო მორალური მხარდაქერა კი არა გვაქვს, არამედ რეზერვის საკითხიც.

რესპუბლიკის მრავალრიცხოვანი სკოლები, სექციები, ჯგუფები, გუნდები ჯერ კიდევ არ აძლევენ რესპუბლიკის პირველ გუნდებს სათანადო შეფასებას და სწორედ ამიტომ, მოგვიერთი გუნდი სჭირდა გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებოდა.

მეთად მნიშვნელოვანი, პატრიოტული საქმე იკისრეს მძლავრებმა. ისინი, საკუთარი სურვილით წავიდნენ პერიფერიებში სპორტის ამ სახეობის ამოსაწვევად და, უნდა ითქვას, რომ პირველი შედეგები უკვე არის მძლავრების ფეხბურთელებამც უნდა მიმაძღვნ. საქიროა ის დამახარბული ოსტატები და ოსტატები, რომლებმაც ასაკის ან სხვა მიზეზით დაანებეს თავი თამაშს, იკისრონ ახალგაზრდების აღზრდის კეთილშობილური საქმე, წავიდნენ რაიონებში და ბეჯითი მუშაობით გამოავლინონ ისეთივე ფეხბურთელები, როგორებიც თვითონ იყვნენ.

დღეს დიდი ფეხბურთის დღეა. გუშინ მოსკოვში შეიკრიბა ფეხბურთის საკავშირო სექციის საიუბილეო პლენუმი. დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს შეხვედნენ საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ნაკრები გუნდები.

საიუბილეო დღეს საბჭოთა სპორტული საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმება ჩვენს ფეხბურთელებს და უსურვებს მათ შემდგომ წარმატებას საბჭოთა ფეხბურთის, საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად.



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ვარამდე (ვერმანია-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე) აღმართულია მთიანი მასივი. რთული პროფილის მიუხედავად თავიდანვე ყველასათვის მოულოდნელად წინ წავიდა ბელგიელი ვანდერკევინი. მოწინააღმდეგეთაგან არავინ ცდილა გამოდევნებოდა წინ წასულს, რადგან ფიქრობდნენ, რომ იგი მალე დაიღლებოდა, მაგრამ კარლოვი ვარში ბელგიელი 2 წუთით ადრე შევიდა, ვიდრე ვიო და კაპიტონოვი, რომლებმაც მეორე და მესამე ადგილები მოიპოვეს.

15 მაისს პრადის მცხოვრებლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს შვედლობის ველობოლის მონაწილეებს. გუნდურ ჩათვლაში დიდი წარმატება მოიპოვა საბჭოთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ბ. ბეზენინი, ბ. ვოსტრიკოვი, ვ. კაპიტონოვი, ნ. კოლუმბეტი, ე. კლემოვი და ი. კოლეოვი (მწვრთნელი ლ. შელენიოვი), რომლებმაც ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენეს და 53 წუთითა 48 წამით მიახსრეს მეორე ადგილზე გამოსულ გდრ-ის გუნდს. პირად ჩათვლაში ყველა ეტაპების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდა პოლანდელი დემენი, ბ. ბეპენინმა მოიპოვა მეორე ადგილი.

მომდევნო ეტაპებზე გუნდურ ჩათვლაში კვლავ წინ იყვნენ საბჭოთა ველოსიპედისტები.



ყოველწლიურად იზრდება ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უღამაზესი და უძველესი ქალაქის, ქუთაისის ფიზკულტურალთა რიცხვი. თუ 20 წლის წინათ აქ მხოლოდ 5.000-მდე ფიზკულტურალთა ითვლიდნენ, ამჟამად სპორტის 32 სახეში 20.000-ზე მეტი ახალგაზრდა ჩამბული.

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებრიობაში დიდი პატივისცემით სარგებლობენ აქ მომუშავე ისეთი ენერგიული მწვრთნელები, როგორებიც არიან ი. მარქაროვი — კრივიში, ი. თავადაძე — ტანვარჯიშში, ი. ბობოხიძე — ქილაობაში, გ. ჩაქოვანი — ფარიკაობაში, ა. ნემსიფერძე — აღბინებში, ი. გომეი — ჩოგბურთში და სხვები, რომელთა უნაღვრო შრომის შედეგად მათ აღზრდილეს — ჯ. კვანთალიანი, ა. ჩარკვიანი, მ. გობჯიშვილი, პ. ასათიანი, ლ. და ზ. ახვლედიანები და სხვები. ბევრჯერ გაუზარებდათ სპორტის გულშემოტიერები. წარმატებით იბრძვის სსრ კავშირის პირველობაზე „ლოკომოტივის“ ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდი გამოცდილი მწვრთნელის ა. ქორდიანის ხელმძღვანელობით.

ქუთაისის ფიზკულტურულ და სპორტულმა ორგანიზაციებმა გასულ წლებში ზედისედეგ გადაჭრებით შეასრულეს მათი კომპლექსური ყველა საფეხური ნიშნისათვის და სპორტსმენ-თანროგოსანთა მომზადების გეგმები. ქუთაისის წარმომადგენლები რესპუბლიკის ლედაქალაქის შედეგ მერვე ადგილს არავის უთმობენ თავისუფალ და კლასიკურ ქილაობაში, ქილაობა სამბოში, კრივიში, ფარიკაობაში და კალათბურთში, სპარტო აღტიზმში გამოდიან ჩოგბურთელები, ტანვარჯიშელები, მოქალაქეები, ცხენოსნები, მსროლელები.

ქალაქში ამ უკანასკნელ წლებში ექსპლუატაციაში შევიდა კალათბურთის სტადიონი, ცალკეულ მსხვილ საწარმოებში აშენდა და შენდება ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, ღია საცურაო აუზები, სპორტული დარბაზები.

ზემო აღნიშნული მიღწევები მოკლებულია ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქუთაისის სპორტული ორგანიზაციები მუშაობაში ადგილი არ ჰქონდეს სერიალულ ნაკლებობებს. კომიტეტის არადაამკაფიოფილებელი ხელმძღვანელობისა და კონტროლის შედეგად ქალაქის ძირეულ კოლექტივებში ფიზკულტურული და განსაკუთრებით სპორტული მუშაობა სუსტად არის დაყენებული, რამაც განპირობა თანროგოსანთა მომზადების გეგმების შეუსრულებლობა სახეობათა მიხედვით. გასულ წელს მძლეოსნობაში გეგმით გათვალისწინებულ 5 პირველთანროგოსნიდან არც ერთი არ მომზადებულა, ასევე არ შესრულ-

ბულა გეგმები ტანვარჯიშში, სიმძიმეების აწევაში, ველოსპორტში, კალათბურთისა და ფარიკაობაში. არადაამკაფიოფილებელი იმუშავეს ქალაქის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მეორე, მესამე და მეოთხე თანროგოსანთა მომზადების გეგმების შესრულების საქმეში. მძლეოსნობაში, საწყლოსნო სპორტის სახეობებში, ჩოგბურთში, ქილაობის ყველა სახეობაში და სიმძიმეების აწევაში, თანროგოსანთა მომზადებასა და ლოკუმენტაციის გაფორმებაში იგრძნობა ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაის საქმისადმი ზერეულ და მკვიდრებულებს.

უპასუხისმგებლოდ გვიდება ნიშნისათვის მომზადებისა და ლოკუმენტაციის გაფორმების საქმის კომიტეტის მშთ კომისია, კომიტეტის შტატში მომუშავე მწვრთნელის პ. კვანთალიანის თავმჯდომარეობით. უხეშად არღვევს რა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის ინსტრუქციის, კომისიის წილობით შეცდომაში შეჰყავს კომიტეტის ხელმძღვანელობა, რომელიც თავის ბრძანებებით ბევრ შემთხვევაში ერთდღივად პიროვნებებს ყოველწლიურად ანიჭებს მშთ ნიშნის ტარების უფლებას. ასე მაგალითად, 1955-56-57 წლებში კომიტეტმა მათდის ფარკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციისა და ა. ხვედელიძეზე სამჯერ გაფორმა ბრძანება, როგორც ნორების ახლად ჩამბარებლებზე.

ბევრ ძირეულ კოლექტივებში ფიზკულტურას ხელმძღვანელობენ არასპეციალისტები, მაშინ, როცა სპეციალური განათლების მქონე 10 კაცი გამოყენებული არ არის. თითონიებზეა მიშვებული მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა შუშის ტარის ქარხანაში (ინსტრუქტორი ი. კეიშვილი). კოლექტივის საბჭოს აღრიცხვა-მურწეობა ქალაქის მდგომარეობაშია, უმომქმედობენ სექციები, კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების უმრავლესობა არ ჩატარებულა, სპორტული ბაზები მოუწყობელია.

მანქანათმშენებელი ქარხნის (ინსტრუქტორ-მეთოდისტი გ. ბოჭორიშვილი) ბაზები დაუტვირთავია, აქ ერთ დროს დაწერდნენ საწარმოო ტანვარჯიშიც კი მივიწყეს. წლაური ანგარიშის თანხმად სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეცდანიებულა 235 კაცი. ამათგან მხოლოდ მესამე თანროგი ჩააბარა 15 კაცმა, ისიც ტყვეით სროლაში.

ყველა საშუალება არსებობს საწარმოო ტანვარჯიშის დასაწერავად სამკერვალო ფაბრიკაში. ამ მხრივ უკვე გადადგმულია ნაბიჯი, მაგრამ მისი მნიშვნელობა მუშებამდე არაა დაყვანილი.

მოწოდების სიმძლავრე არ ღვს სპორტული მუშაობა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. ფაკულტეტური მეცადინეობა მივიწყებულია პირველ და მეორე კურსებზე. ინსტიტუტს არ გააჩნია სათანადო სპორტული ბაზები, სუსტად ზრუნ-

ვენ სტუდენტთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდისათვის, მოუწყობენ ფიზკულტურის კუთხე, ფლოტსტენდი, არ გამოდის სპეციალური სპორტული კედლის გაზეით.

პედაგოგიურ ინსტიტუტს მომზადებებს უწყვეტ ფიზკულტურის 15 მუშაი და შედარებით უზრუნველყოფილია სპორტული ბაზებით. მიუხედავად ამისა მუშაობაში ჯერ კიდევ იგრძნობა ნაკლებობები. სპორტულ-ჯგუფებში მომეცადინეთა 70-80 % მხოლოდ I და II კურსის სტუდენტები შეადგენენ. შემდეგ კი გადაიანა რა III და IV კურსებზე თავს ანებებენ სექციებში მეცადინეობას, გაურბიან ინსტიტუტის სპორტული დირსების დაცვას, რაზეც დირექტორი რეაგირებს არ ახდენს დირექტორი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობის შედეგად სექციებში მომეცადინეთა მაჩვენებლები დაბალია. 1957 წლის სექტემბერში ჩატარებულ მძლეოსნობა საინსტიტუტო პირველობაზე 54 მონაწილიდან მხოლოდ ერთმა უჩვენა მეორე და სამმა სტუდენტმა — მესამე თანროგის შედეგი. ამვე წლის დეკემბერში ჩატარებულ შეჯიბრებაზე ტანვარჯიშში 32 მონაწილიდან 24-მა ვერ შეასრულა სათანადო ნორმატივი. ინსტიტუტს შეუსრულებული დარჩა პირველ და მეორე თანროგოსან სპორტსმენთა მომზადების 1957 წლის გეგმა. არ ჩატარებულა სტუდენტთა სამედიცინო შემოწმება, კათედრის მასწავლებლებიდან მხოლოდ ორია ჩამბული სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში.

არასახარბილო მდგომარეობაა ტექნიკუმებშიც. სამთო ტექნიკუმში განიცდიან სპორტინვენტარის სიმცირეს, მშთ ნიშნისათვის მომზადება ატარებს ფორმალურ ხასიათს, არ ეწყობა დღის გამამხნეველი ვარჯიშები. ავტომექანიკურ ტექნიკუმს არავითარი სპორტული ბაზა არ გააჩნია. შეჯიბრებები (სხვის ბაზებზე) ტარდება შემთხვევიდან შემთხვევამდე, რის გამო 1957 წელს გათვალისწინებულ 6 მეორეთანროგოსნიდან მოამზადეს მხოლოდ ერთი კაცი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის 1958 წლის 28 თებერვლის ბრძანების შესაბამისად ქალაქ ქუთაისის ბევრმა სკოლამ მუშაობა გარდაქმნა. მაგრამ ბევრგან მდგომარეობა უცვლელია. მე-8 საშუალო სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთლები ტარდება გეგმების გარეშე, დაბალ პედაგოგიურ დონეზე, სექციებში მეცადინეობა ატარებს შემთხვევით ხასიათს, მშთ ნიშნისათვის მომზადების, შეჯიბრებათა ოქმები სკოლაში არ არსებობს, ყოველივე ეს გამოწვეულია დირექციის სუსტი

კონტროლით. 1957-1958 სასწავლო წელს პედაგოგის დღემდე არ განუხილავს საკონტროლო მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შესახებ. ინვენტარის ნაკლებობას განიცდის ახალგაზრდობის სპორტული სკოლა. განათლების განყოფილების ტანვარჯიშული და კომპლექსური სპორტსკოლები.

ცულად მუშაობენ ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან არსებული სპორტის სახეობათა საზოგადოებრივი ხელმძღვანელი სექციები, არასათანადოდ ემზადებიან კომიტეტს, არ ამზადებენ საკითხებს სტუმრებისათვის, რის გამო საგრძნობლად შემცირდა კომიტეტზე განხილულ საკითხთა რაოდენობა. ადგილი აქვს უფეგებობასა და უსისტემობას კომიტეტის სტომბათა ჩატარებაში. კვარტალურ გეგმებში გათვალისწინებული საკითხები ხშირ შემთხვევაში არ სრულდება. კომიტეტის სტომბაზე არ იხილება ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა სპორტის ცალკეული სახეობების შემდგომი განვითარების, ფიზკულტურული კოლექტივების, სპორტსაზოგადოებათა საქალაქო საბჭოების მუშაობის შესახებ და სხვ.

არასახარბილო მდგომარეობაა ქალაქში სპორტული ბაზების მხრივ. არ გააჩნია სასროლეო, ბაზები საწყლოსნო სპორტში მეცადინეობისათვის.

ამ დღეებში ქალაქის კომიტეტმა აქტივად ერთად სტომბაზე განხილვა ხალხთა II სპორტკვიადისათვის მზადების საკითხი. გამოირკვა, რომ ქალაქის ნაერებ გუნდებს მოტო და ველოსპორტში, საწყლოსნო სპორტის ყველა სახეობაში, ცხენოსნობაში, თანამედროვე თუთილში საგრძნობლად გაუქარბებთ რაიმე წარმატების მოპოვება, რადგან განიცდიან ინვენტარის ნაკლებობას, არ ყავთ კვალიფიკური მწვრთნელები, ამ ხარვეზების დაძლევა კი საგრძნობლად აღემატება ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის შესაძლებლობას.

საჭიროა ქალაქის პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე ზემდგომმა ხელმძღვანელებმა ორგანიზებმა სათანადო დახმარება გაუწიონ ქუთაისელ ფიზკულტურელებს ბაზების კეთილმოწყობის, ინვენტარის შექმნისა და ნაერები გუნდების მზადების საქმეში.

ა. დოკვაძე

მით ჩაინთქა ამ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გავიდა ხანი და 1937 წლიდან ი. ხარაშიძე მთლიანად გადაინაცვლა ახალ სარბიელზე, სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ შეუცვლელი მუშაი გახდა. მას შემდეგ 21 წელმა გაწვილ და სპორტის ღვაწლმოსილი ენთუზიასტი, როგორც იტყვიან, განუყოფლად „შეაბერდა“ საყვარელ საქმიანობას, ერთი წუთითაც არ გამოკლებია სპარტაკელთა რიგებს. ამ წინსვანამდლობაში ის თანმიმდევრულად, ახლა უკვე პრაქტიკულად დაუფლდა სპორტის მთელ რიგ სახეობებს — ფარკაობას, ქილაობას, შაშა, საცხენოსნო სპორტს, სვილა მძლეოსანთა, ფეხბურთელთა შეხვედრებს, ხელმძღვანელობდა სხვადასხვა სექციებს, იყო და არის ფეხბურთის რესპუბლიკური სექციის მდივანი; 53 წლის ასაკში მან მშთ მეორე საფეხურის ნიშნზეც კი ჩააბარა. და ყოველივე ამის პარალელურად ის დაუცხრომელი ენერგიით ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას.

თავისი უმწიველო, თავადებული შრომით ნაყოფიც არაერთხელ მოურყვია იაკობ ალექსანდრეს-ძეს ამ წინსვანამდობაზე დაუძახებურება მრავალი მაღლობა, სიგელი. 1957 წელს, როცა მას 70 წელი შეუსრულდა, „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა სპეციალური პრემიით დააჯილდოვა, ხოლო მიმდინარე წელს იგი სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საპატიო წევრად იქნა არჩეული.

დაფასებულე შრომის ახალ სიხარულს განიცდის ი. ხარაშიძე დღესაც: მას გადაეცა „სსრკ საზოგადოებრივი ინსტრუქტორის“ საპატიო ნიშანი.

მ. ჯუღელი

ორ დღეს გასტანა შეჯიბრებამ აბაშის რაიონის პირველობაზე დალოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოება „სოლ. მეურნეს“, „განთიანის“, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და სკოლების ნაერები გუნდები.

წითელი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ჯ. კვარაცხელიამ, გ. მსხალიამ, ე. კუჭუხიძემ (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), ა. კაკარავამ და ა. კაკარავამ („განთიანი“).

დამთავრდა „კოლმეურნეს“ რიგსაბჭოს პირველობა შაშასა და ქილაობაში. შაშაში პირველი ადგილი მოიპოვა ჯ. გვაზავამ, ქილაობაში — პ. რამიშვილმა.

ი. თოფურია, გ. გვაზავა

ლანჩხუთი

უკანასკნელ ხანებში ლანჩხუთში ჩატარდა მთელი რიგი სპორტული ღონისძიებანი. საქალაქო ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდა 14 სპორტსმენი, რაიონის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ი. კაცაძემ.

ფრენბურთში პირველობისათვის იბრძოდა ვეითა 12 გუნდი. პირველ ადგილზე გამოვიდნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენები.

საინტერესო სპორტული პრობლემით ხასიათდებოდა მოსწავლეთა ასპარეზობა რაიონის პირად-გუნდურ პირველობაზე ქართულ ქილაობაში. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი აღმოჩნდა ნიგვზიანის საშუალო სკოლის კოლექტივი. წითელი კატეგორიების მიხედვით რაიონის ჩემპიონები გახდნენ: ე. ბურბულაძე, რ. ბარამიძე, ი. იმნაძე, ჯ. ჯიჯიშვილი, შ. ამყოლაძე, ბ. დვალისვილი, ზ. კვეციანი, ი. მელუა.

მოსწავლე კალათბურთელთა შეჯიბრებაში ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდმა ყველა მეტოქე დაამარცხა.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 284 კაცი, რომელთა შორის 48-მ შეასრულა III თანროგის ნორმატივი. წარმატებით მიმდინარეობს მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაც. დღემდე მშთ I საფეხურზე მომზადებულია 150, ხოლო II საფეხურზე — 25 კაცი.

ი. ებრაღიძე

დუშეთი

თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა სარაიონო პირველობა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 7 გუნდი. ფინალში გავიდნენ დუშეთის კულტურის სახლისა და პირველი საშუალო სკოლის გუნდები. მოსწავლეებმა მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარეს ეს საპასუხისმგებლო შეხვედრა და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1.

ზ. მარგველაშვილი.

ტყიბული

ჩატარდა რაიონის 1958 წლის პირად-გუნდური პირველობა თვითუფალ ქილაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ 35-მდე სპორტსმენი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სტალინის სახელობის შახტის გუნდმა. კარგი ფიზიკური მომზადება აჩვენეს: მეძმარიაშვილმა, ცირეკიძემ, გვაშელაშვილმა, ლებანიძემ, მიტროფნოვმა, ლებანიძემ, ტიხონკოვმა.


მ. ჯიჯიაშვილი



საზოგადოებრივი მუშაობის წარჩინებული

ი. ხარაში

ეს იყო 1938 წელს. ალბინისტა ჯგუფი ყაზბეგს უტევდა. მათ შორის იყო ახალბედა მთავსელები — იაკობ ალექსანდრეს-ძე ხარაში, რომელსაც ჯერ ფეხი არც ერთ მთაზე არ შეეღდა და მიუღებდავად ამისა, მხნედ, თანამად მიიბიჯებდა უჩვევე ზაზზე, არაფერს იტყობდა. სინამდვილეში კი უჭირდა, საგრძნობლად უჭირდა იაკობ ალექსანდრეს-ძეს. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო: 51 წლის კაცს, რომელიც სპორტს მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ ეზიარა, ახალგაზრდა ჯანონით სავსე ადამიანების მხარდამხარ უნდა ეარა და ისიც — ოვლყინულით, აღმართითა და ხედავით საგვე გზაზე. უკანასკნელი დაბრკოლების წინ თითქმის და საბოლოოდ გამოელიაო ძალ-ღონე ხარაშმა... მაგრამ ჩამორჩენა? უკანახევა? არა. ვითარ შემთხვევაში — მტკიცედ დაასვენა, — რას იტყვიან ახალ-



დიდი უპირატესობა და მხირკ ანგარიში

თბილისი. 15 მაისი. „დინამოს“ სტადიონი.
სკოლა (თბილისი) — „შირაკი“ (ლენინაი) — 2:1 (1:0).
სკოლა — ივანოვი, გრიშინი, ჭანჭიანი, კვიციანი, შიჩაძე, გორგენაძე, ლეჟავა, კურტიანი, ახალციცი.
„შირაკი“ — ისრაელიანი, ლურჯაბერიანი, პაპიაიანი, სუმერჯიანი, ხაჩიკიანი, ახლანიანი, პოლოსიანი, გუგუნი, ავეტიანი, აბრამიანი, სუმარიანი.
მსაჯე ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

მატჩის პირველი წუთებიდანვე ცხადი შეიქმნა განსხვავება მოწინააღმდეგეთა შორის.
არბიტრებს ჯერ კიდევ შესვენებამდე ჰქონდათ რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობა, მაგრამ მათგან შედეგად არ აღმოჩნდა მხოლოდ ერთი. ლეჟავამ მე-17 წუთზე ზუსტად გადააწოდა გორგენაძეს, ამ უკანასკნელმა თავს ზემოდან გადაუდგო ბურთი კარიდან გამოსულ ისრაელიანს — 1:0.
„შირაკმა“ ანგარიში გაათანაბრა

1. სპორტული შეჯიბრება. 2. თბილისის „დინამოს“ თავდასხმელი. 3. სპორტის სახეობა. 4. სპორტული ინვენტარი. 5. მოსკოვის „ტორპედოს“ თავდასხმელი. 6. სპორტული საზოგადოება. 7. რადიოკომენტატორი. 8. ქალაქი, რომლის გუნდიც თამაშობს „კლასში“. 9. მოსკოვის „დინამოს“ მცველი. 10. ფეხბურთელთა შეხვედრა. 11. საჯარო დარბაზი. 12. სპორტული თამაშის შედეგი. 13. თბილისის „დინამოს“ თავდასხმელი. 14. საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებული. 15. სპორტული კლუბი. 16. სპორტული შედეგი. 17. სპორტული ჯილდო. 18. გუნდის ერთ-ერთი წევრი. 19. სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი ფეხბურთში. 20. მატჩის ჩამატარებელი. 21. მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდასხმელი. 22. სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი თავდასხმელი. 23. ფეხბურთის მიმომხილველი. 24. თბილისის „დინამოს“ ყოფილი ნახევარმცველი. 25. რაინიშნება არასწორი თამაშისათვის. 26. „კლასის“ გუნდი. 27. სპორტული ნაგებობა. 28. მოსკოვის „სპარტაკის“ თავდასხმელი. 29. მატჩის პირველი ნახევარი. 30. გუნდის წევრი. 31. მოსკოვის „ტორპედოს“ თავდასხმელი. 32. გუნდი, რომელიც გათამაშებას სათავეში უდგას. 33. თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი. 34. მოსკოვის „დინამოს“ თავდასხმელი.

თუ მასუბებს სწორად ჩაწერთ, მაშინ მხხვილ ხაზებით გამოყოფალ უჯრებში მიაღებთ საბჭოთა ფეხბურთელებისადმი მიმართულ მისაღმებას.

ფეხბურთი

მეორე ტაიმის დასაწყისშივე, როცა ასლანიანმა შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა კარიში, ივანოვმა ვერ მოასწრო რეაგირება ბურთზე და გაუშვა იგი — 1:1. ამის შემდეგ სტუდენტები ერთხანს ინარჩუნებდნენ ინიციატივას, მაგრამ თბილისელებმა მეთოდური თამაშით კვლავ შეძლეს შეფერხებული შეტევის განახლება და მალე ლეჟავამ ხელის კარგი გადაცემიდან გაიტანა მეორე გოლი.
მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისის არბიულთა სასარგებლოდ.

რ. ქორიძე.
სურათზე: ბურთისათვის ბრძოლის მომენტი ლენინაიანელ და თბილისელ ფეხბურთელთა შორის.

ქუთაისი. 15 მაისი. (ტელეფონით). აქ შედგა შორი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (ერევანი). მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

მახაჩკალა. 15 მაისი. (ტელეფონით). ადგილობრივმა „ტემპმა“ მიიღო თბილისის „ბურვესტნიკი“. გამარჯვებს თბილისელმა სპორტსმენებმა ანგარიშით 1:0.



11 მაისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის.

ზუგდიდის „ოლიმპი“ თავის მინდორზე მიაღო ფათას გუნდი. მასპინძლებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და გამარჯვებს ანგარიშით 2:1. უშედეგოდ — 0:0 დამთავრდა მატჩი თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდსა და ბათუმის „დინამოს“ შორის.

საინტერესო და დამაბულ ბრძოლაში ჩატარდა შეხვედრა ლანჩხუთში იდგალობრივი და მახაჩკალის კოლმეურნე ფეხბურთელთა გუნდებს შორის. მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთის კარში გაიტანეს თითო ბურთი — 1:1.

ქიათურაში ამ დღეს ერთმანეთს შეხვედნენ „მდაროელი“ (ქიათურა) და „ლოკომოტივი“ (სამტრედია). მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზელებს ჰქონდათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, მათ ვერ შეძლეს გაეჭუთათ ერთადერთი ბურთი, რომელიც მათ კარში გაიტანეს მდაროელებმა.

ანგარიშით 1:0 გამარჯვებს მასპინძლებმა.
რუსთაის „სივმა“ თავისი მორიგი მატჩი ჩატარა ქუთაისში ადგილობრივი „ტორპედოს“ წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

თბილისის „ბურვესტნიკის“ სტადიონზე, სტუდენტთა სპარტაკიადის სახეიმი გასწის შემდეგ შედგა მატჩი ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და ფეხბურთელთა ინსტიტუტის გუნდებს შორის. სტუდენტმა ფეხბურთელებმა დიდი აღმაველობით ითამაშეს და დამარცხეს გასული წლის ჩემპიონ ანგარიშით 3:1. წარმატებით ჩატარა მატჩი ამ დღეს სტალინის „სპარტაკმა“ თელავის თანაკლუბელთა წინააღმდეგ. სტალინელებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს 9 ბურთი, ხოლო თავისაშე მიიღეს მხოლოდ 1.

ქუთაისის „დინამოს“ და გორის „განთიადის“ მატჩში დინამოელებმა შეძლეს ერთი ბურთის გატანა მოწინააღმდეგის კარში, რომელმაც მათ გამარჯვება მოუტანა.
სოხუმში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ახალგაზრდობის საფეხბურთო კლუბის გუნდი (თბილისი). მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

ქობულეთის „კოლმეურნე“ დამარცხდა განიცადა რუსთაში იდგილობრივი „მეტალურგთან“ შეხვედრაში. მეტალურგებმა გამარჯვებს ანგარიშით 4:1.

მეორე ჯგუფი. I ზონა. „სპარტაკი (საჩხერე) — ადგ. მრეწველთა (ქუთაისი) — 4:1, ლენინის სახ. შახტი (ტყეხული) — წულუკიძე — 0:2, „ციხკარი“ (ბათუმი) — „სალხინო“ (გეგამაკარი) — 1:0.

II ზონა. იმამჩიხი — „ბახარო“ (ჩოხატაური) — 2:2, „განთიადი“ (ბათუმი) — „კოლხიდა“ (ზობი) — 2:2, გუდაუთა — „სპარტაკი“ (ცხაკაია) — 0:2, გაგრა — „განთიადი“ (ტყეარჩელა) — 0:1.

III ზონა. ორთქლ. ვაგონმეც. ქარხანა (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ზაშური) — 6:2, „დურჯი“ (ყვარელი) — ახ. საფეხ. სკოლა II (თბილისი) — 1:1, „ტორპედო“ (თბილისი) — „კოლმეურნე“ (ბოლნისი) — 2:0, „კოლმეურნე“ (გურჯაანი) — ადგილ. მრეწველთა სამმართველო (თბილისი) — 2:2.

IV ზონა. სკოლა I (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (გურჯაანი) — 10:0, „მშენებელი“ (რუსთაი) — „რემონტევი“ (თბილისი) — 1:0, შახტი №1 (ახალციხე) — „თრიალეთი“ (წალკა) — 2:0, „წინანდლი“ (თელავი) — „კოლმეურნე“ (ქარელი) — 2:1.


175 მატჩი
1957 წელი ფეხბურთელებისათვის ყველაზე გადატვირთული წელი იყო. თუ 1952 წელს სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული ნაკრები გუნდები გუნდები ერთმანეთს შეხვედნენ, მაშინ 1957 წელს თბილისის „დინამოს“ და თბილისის „სპარტაკის“ მატჩი უნდა ითვლებოდეს ერთ-ერთ უძლიერეს მატჩად.

ბის ეროვნული ნაკრები გუნდები საერთაშორისო შეჯიბრების მხრე ერთმანეთს 82-ჯერ შეხვედნენ, მთლიანად სეზონში მატჩების რიცხვი 112-მდე იზარდა. 1957 წელს იგი 133-მდე გაიზარდა, ხოლო 1956 წელს — 136-მდე. გასულ სპორტულ სეზონში გამართა 175 საერთაშორისო შეხვედრა.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით უნგრეთის გუნდმა „ნეპ შპორტმა“ შეადგინა რამდენიმე ცხრილი, რომლებშიც გუნდები კლასიფიცირებულია მათ მიერ მოპოვებული წარმატებების მიხედვით. პირველი ხუთეული 1957 წლის შედეგების მიხედვით ასე გამოიყურება: არგენტინა, ინგლისი, საბჭოთა კავშირი, ბრაზილია და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა. უნგრეთის ფეხბურთელებს ცხრილში მე-12 ადგილი უკავიათ, ურუგვაელებს კი — 13-ე.

ამავე გაზეთში მოყვანილია მეორე ცხრილი, როგორც შედეგი აქვს მსოფლიო პირველობის 16 მონაწილე გუნდს, სხვა ქვეყნების ნაკრები გუნდების წინააღმდეგ 1954-56 წლების მანძილზე. საუკეთესო შედეგები 1954-56 წლებში ჰქონდა საბჭოთა კავშირის ნაკრებს, რომელმაც 21 შეხვედრიდან მოიგო 15, წააგო 2 და ფრედ დამთავრა 4, ბურთების საერთო შეფარდება — 68:16.

16 ფინალისტის შედეგი 1957 წელს ასეთი გამოდგა: მექსიკა 6 თამაშიდან — 5 მოგება, ერთი ფრედ, შეფარდება 21:3, საბჭოთა კავშირი — 8 თამაშიდან 6 მოგება, 1 ფრედ, 1 წაგება, შეფარდება — 25:5, მომდევნო ადგილებზე არიან დასავლეთ გერმანია, ინგლისი, ჩეხოსლოვაკია.



თბილისში, რესპუბლიკურ საკლდელო კლუბში გრძელდება საქართველოს 1958 წლის ჩემპიონატი ტორპედოში. შეჯიბრებაში უკვე გათამაშდა ხუთი ტური.

სამატჩო შეხვედრა
თბილისის ქარხანა „პოლიტექნიკა“ კლუბში გამართა ანგარიშის გარეშე ვეღარა ქალაქში „ცენტრალიზირებული“ სპორტსმენებთან. გამარჯვებს მახაჩკალაში, ხოლო „სპარტაკი“ ბურთს ვეღარა გაიტანა. თბილისის არბიულთა სასარგებლოდ ანგარიშით 2:1 დაიწყო. სტუდენტებიდან გამარჯვება მიიღოვეს გუგაძემ და ფიშოვამ.
შეჯიბრების შემდეგ დადგინდა მეგობრული კავშირები და მათ შორის კოლექტივებს შორის და თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად შეხვედრების ჩატარება ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, მავიის ჩოგბურთში, სროლასა და ქალბურთში.

გ. ხიდუშელი

სასახლის თასზე

დამთავრდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თასის გათამაშება კალათბურთში, ფრენბურთში, სროლასა და ქალბურთში.
კალათბურთში გერმანია შორის ყველაზე აჯობდა 61-ე სკოლის სპორტსმენებს, ვაჟთა შორის — 98-ე სკოლის ფიზკულტურელებმა. ფრენბურთელთა შეჯიბრება მოიგეს 61-ე სკოლის გოგონათა რკინიგზის პირველი სკოლის ქაბუთა გუნდებმა. სროლაში ყველა აჯობდა 48-ე სკოლის ფიზკულტურელებმა. პირად პირველობაზე გამარჯვდა 6. ბაილანოვი ვილმა (85-ე სკოლა), მუქარაძეა შეჯიბრებაში უძლიერესის სახელდამკვიდრეს 42-ე სკოლის ნორჩმა სპორტსმენებმა. ბიჭებმა ჩემპიონი გახდა — ვ. ჩხეველი (55-ე სკოლა), გოგონებში — ნ. ჯანაშვილი (42-ე სკოლა).

ი. ხაბეშვილი

დღეს თბილისში

კალათბურთი და ფრენბურთი, „ბურვესტნიკის“ პირველი რეზუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით. კიროვის პარკსა და „განთიადის“ ბაზარზე. დასაწყისი 10 საათზე.
მძლეოსნობა, ესტაფეტა პიონერთა რამდენიმე სკოლის, ლენინის სახელობის მოედანი. დასაწყისი 12 საათზე.
თანამედროვე ხუთბრთი, ქალაქის პარკებში. დღესის „ბოლნისი“, დასაწყისი 11 საათზე.
თავისუფალი კიბობა, ქალაქის პარკებში. ბირველობა. ლენინის სახელობის დარბაზი. დასაწყისი 12 საათზე.
ჭადრაკი, ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის VI ტური. ცენტრალური საკლდელო კლუბი. დასაწყისი 5 საათსა და 30 წუთზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, დინამოსელებმა წამყვანი მოპოვებები გურგენიძეს, რომელსაც 4 ქულა აქვს, კვალდაკვალ მისდევენ შიშოვი, კასპარიანი, ბუსლავე, ზღაგინე და მუქარაძე. ქულათა 50 პროცენტზე მეტი აქვთ აგრეთვე კალბაძის მიხედვით და ლომიას. ცუდდ დიწყო შეჯიბრება გიორგაძემ, რომელსაც მხოლოდ ერთი ქულა აქვს.
ტურნირის პირველმა პარტიებმა ცხადდეს, რომ შემოქმედებითი მხარე წინა წლებთან შედარებით შესამჩნევად გაზარდია. აღსანიშნავია გურგენიძის მოგებული პარტია ბრეტმანთან, ბუსლავეს. — იზოზნიკოვთან, ვაგუასი — კალბაძის მიხედვით, რაზოვსკის — ბელთაძისთან და სხვა.
ტურნირი შედის საინტერესო ფაზაში, სადაც უნდა მოხდეს ლიდერთა ძირითადი ბრძოლის გამოყოფა. ეს კი განპირობებს მწვევე ბრძოლას უახლოეს ტურებში.

რედაქტორი ი. შაშლავაძე

კროსვორდი შეადგინა კ. ენუქაშვილმა.